შემთხვევის ანალიზი: რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკა უკრაინასა და საქართველოში

შემთხვევის ანალიზი: რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკა უკრაინასა და საქართველოში

ავტორი: თინათინ აღნიაშვილი

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის - "სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისთვის" ფარგლებში, რომელსაც სტრატეგიის და განვითარების ცენტრი - CSD, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით ახორციელებს.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ან CSD-ის პოზიციას.

თბილისი, 2024

სარჩევი

შესავალი 3
რუსული დეზინფორმაციის გავრცელების მახასიათებლები და მიზნები..... 3
შემთხვევის ანალიზი: რუსეთი უკრაინაში 6
შემთხვევის ანალიზი: რუსეთი საქართველოში..... 10
დასკვნა..... 14

შესავალი

„შეგიძლია ყველა მოატყუო გარკვეული პერიოდის განმავლობაში და გარკვეული რაოდენობის ხალხი მოატყუო ყოველთვის, მაგრამ ყველას ყოველთვის ვერ მოატყუებ!“ [1]

რუსეთის მიერ დეზინფორმაციის გავრცელება თანამედროვე მსოფლიოსთვის საერთაშორისო გამოწვევაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ცალკეული სახელმწიფოების, ორგანიზაციების სტაბილურობას, უსაფრთხოებას და მიზნად ისახავს მსოფლიო წესრიგის შერყევასა და რუსული გავლენის სფეროების გაფართოებას.

საგულისხმოა, რომ კრემლი დეზინფორმაციის საკმაოდ მოქნილი და წარმატებული გამავრცელებელია, განსაკუთრებით, მის უშუალო მეზობლებთან, უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებაში. ორივე ქვეყნის ოფიციალურად გაცხადებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კურსია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ხოლო რუსეთი ცდილობს, მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტით ხელი შეუშალოს მათ პროდასავლურ მისწრაფებებს.

კრემლმა ჰიბრიდული ომის ტაქტიკა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გამოიყენა, ხოლო უკრაინაში 2014 წლის ყირიმის ანექსიის, დასავლეთ უკრაინის ოკუპაციისა და 2022 წლის ფართომასშტაბიანი ომის პერიოდში უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით გამდიდრებულ ტაქტიკას მიმართა. აღსანიშნავია, რომ ჰიბრიდულ ინსტრუმენტებს და მათ შორის, დეზინფორმაციას, რუსეთი ორივე ქვეყანასთან მიმართებაში ტერიტორიების ოკუპაცია-ანექსიამდეც იყენებდა და მის შემდგომაც.

რუსული დეზინფორმაციის გავრცელების მახასიათებლები და მიზნები

რუსეთის მიერ საინფორმაციო მანიპულაციების გამოყენება მოწინააღმდეგის მიმართ სიახლეს არ წარმოადგენს. ბოლშევიკებმა პირველად 1923 წელს დააარსეს სპეციალური ბიურო/ოფისი საზღვარგარეთ საინფორმაციო ოპერაციების განსახორციელებლად. ამგვარად, პროპაგანდა მალე გახდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტების მთავარი ელემენტი.[2] ოფისის მთავარი მიზანი კომუნისტური იდეოლოგიის პოპულარიზაცია და საბჭოთა კავშირის პოზიტიური იმიჯის შექმნა-წარმოჩენა იყო. საბჭოთა კავშირი დეზინფორმაციის გავრცელებით ცდილობდა ოპონენტების დისკრედიტაციას და დასავლური სახელმწიფოების ლიდერებსა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის

1 Abraham Lincoln 1809–65 https://www.oxfordreference.com/display/10.1093/acref/9780191843730.001.0001/q-oro-ed5-00006699; retrieved on 03.04.2024;

[2] The Russian war on Truth: Defending Allied and Partner Democracies against the Kremlin's disinfomation campaigns, 2023; https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2023-10/014%20CDS%2023%20E%20rev.%202%20fin%20-%20RUSSIA%20DISINFORMATION%20-%20DEMEUSE%20REPORT.pdf; Retrieved on 12.03.2024.

მოხდენას.[3] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი განაგრძობდა საინფორმაციო მანიპულაციების გამოყენებას დივერსიისა და დესტაბილიზაციის მოწყობის მიზნით. შესაბამისად, თანამედროვე რუსული დეზინფორმაციის მანქანა ფესვებს საბჭოთა პროპაგანდაში იღებს. დროთა განმავლობაში, მისი მეთოდები/ინსტრუმენტები განვითარდა და დაიხვეწა, თუმცა, ქვეყნის ტაქტიკისა და მიზნების დიდი ნაწილი უცვლელი დარჩა.
1990-იანი წლებიდან, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, რუსეთის დეზინფორმაციული აქტივობებიც გაუმჯობესდა, რომელმაც კრემლს შესაძლებლობა მისცა პირდაპირი გზით, მასშტაბურად და უფრო მარტივად დაეფარა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორია.
2016 წელს ერთ-ერთმა ამერიკულმა საერთაშორისო კვლევითმა ორგანიზაციამ რუსულ დეზინფორმაციულ ტაქტიკას „სიყალბის ცეცხლი“ (Firehose of Falsehood) უწოდა.[4] ეს მიდგომა საბჭოთა პერიოდის ტაქტიკისგან განსხვავდება საკომუნიკაციო საშუალებებისა და გზავნილების მრავალფეროვნებით. მისი უშუალო მიზანია აუდიტორიის გართობა, დაბნევა, ინფორმაციით გადატვირთვა და ფაქტების გადამოწმების მიმართ ინტერესის დაკარგვა. აღსანიშნავია, რომ მიდგომა აქტიურად გამოიყენებოდა როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის, ისე 2014 წლის ყირიმის ანექსიის კონტექსტში. რუსული დეზინფორმაციული ტაქტიკის 4 მახასიათებელს გამოყოფენ:[5]

01 **დიდი მოცულობის და მრავალარხიანია**

02 **სწრაფი, უწყვეტი და განმეორებადია**

03 **მოკლებულია ობიექტურ რეალობას**

04 **მოკლებულია თანმიმდევრულობას**

[3] Fog of Falsehood: Russian Strategy of Deception and the Conflict in Ukraine, 2016; https://www.fiia.fi/wp-content/uploads/2017/01/fiiareport45_fogoffalsehood.pdf. Retrieved on 12.03.2024;
[4]The Russian “Firehose of Falsehood” Propaganda Model, 2016; https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html. Retrieved on 12.03.2024;
[5] იქვე.

რუსული დეზინფორმაციული მანქანა დიდი მოცულობით ინფორმაციას ამუშავებს და მრავალფეროვანი საინფორმაციო არხებით ავრცელებს; აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური მედიის ყალბი ანგარიშები (ტროლები და ბოტები). ყოფილი რუსი ტროლის ინფორმაციით, ისინი 24 საათის განმავლობაში, 12-საათიან ცვლაში მორიგეობდნენ და თითოეულს ჰქონდა კომენტარების დაწერის დღიური კვოტა.[6] ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და მართული საინფორმაციო სააგენტოები - RT (ყოფილი "Russia Today") და Sputnik დეზინფორმაციის ყველაზე მასშტაბური და აქტიური გამავრცელებლები არიან, როგორც რუსეთის ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.[7] ისინი ყოველწლიურად 1.3 მლრდ. აშშ დოლარის სახელმწიფო სუბსიდიებს იღებენ ყალბი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მუდმივი ნაკადის შექმნა-გავრცელებისთვის.[8] ტროლებთან, ბოტებთან და სახელმწიფოს მიერ მართულ მედიასთან ერთად, რუსეთის სადაზვერვო სააგენტოები გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრემლის დეზინფორმაციული ოპერაციების ორგანიზებასა და ფართოდ გავრცელებაში.[9]

თანამედროვე რუსული დეზინფორმაციის ნაკადი უწყვეტია. ის სწრაფად რეაგირებს მოვლენებზე, გზავნილები მუდმივად იცვლება, ადაპტირდება და კონკრეტულ კონტექსტს ერგება. რუს პროპაგანდისტებს არ სჭირდებათ ფაქტების გადამოწმება, ისინი პირდაპირ ავრცელებენ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მეტად მოდის შესაბამისობაში კრემლის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ მიზნებთან, ხოლო ინფორმაციის განმეორებითობა მთავარ როლს თამაშობს ყალბი ამბების გავრცელებაში და ზრდის ზემოქმედების ხარისხს. მეტი დამაჯერებლობისთვის, დეზინფორმაციული ნარატივები ხშირ შემთხვევაში სიმართლის კომპონენტებსაც შეიცავს. საგულისხმოა, რომ ყალბი ამბების გავრცელების მიზნით, არამხოლოდ ყალბი გზავნილები იქმნება, არამედ ცრუ წყაროები და ციტატები.[10]

რუსული დეზინფორმაციული ნაკადი არათანმიმდევრულობით ხასიათდება. პროპაგანდისტული მედია არხები არ ავრცელებენ იდენტურ თემებს ან გზავნილებს. თუ ერთი მცდარი ნარატივი ან გზავნილი გამოაშკარავდება, პროპაგანდისტები ახალი კონტენტის შექმნას იწყებენ. ამასთან, თანმიმდევრულობის ნაკლებობა შეინიშნება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებებშიც.[11] რუსეთს დეზინფორმაციის გავრცელების მრავალი მოტივი აქვს, რაც განპირობებულია სტრატეგიული, იდეოლოგიური და

[6] One Professional Russian Troll Tells All, 2015 https://www.rferl.org/a/how-to-guide-russian-trolling-trolls/26919999.html. Retrieved on 14.03.2024.
[7] Report: RT and Sputnik's Role in Russia's Disinformation and Propaganda Ecosystem, 2022; https://www.state.gov/wp-content/uploads/2022/01/Kremlin-Funded-Media_January_update-19.pdf. Retrieved 15.03.2024;
[8] The EU's Ban on Russia Today and Sputnik is Now in Effect, 2022; https://techcrunch.com/2022/03/02/eu-rt-sputnik-ban-live/. Retrieved 15.03.2024;
[9] Russia's Active Measures Architecture: Task and Purpose, 2018; https://securingdemocracy.gmfus.org/russias-active-measures-architecture-task-and-purpose/. Retrieved 16.03.2024;
[10] The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model, 2016; https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html. Retrieved on 15.03.2024;
[11] Putin, Lies and His "Little Green Men", 2015; https://edition.cnn.com/2015/03/20/opinions/pifer-putin-misleads/index.html. Retrieved on 15.03.2024;

გეოპოლიტიკური მიზნების ერთობლიობით. კრემლის მიზნები და მოტივები შეიძლება შემდეგი სახით დაჯგუფდეს:[12]

- **დემოკრატიული საზოგადოებების დაყოფა, მათი დესტაბილიზაციის მიზნით.** უმთავრესი მიზანი დემოკრატიული საზოგადოებების შესუსტება და რუსეთის შედარებითი ძალაუფლების ზრდაა. ამ მიზნით, რუსული დეზინფორმაციის აქტორები დასავლურ საზოგადოებებში არსებულ მოწყვლად საკითხებს იყენებენ, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური, ენობრივი, სოციალური და ისტორიული მოტივებით უთანხმოების გაღვივებას;
- **დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრა და მისი დელეგიტიმაცია.** დეზინფორმაციის კამპანია მიმართულია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საარჩევნო სისტემების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შესუსტებისა და მათი რეპუტაციის შელახვისკენ, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ქვეყნებს მსოფლიო მასშტაბით;
- **სიცრუისა და რეპრესიების გამოყენება, როგორც თვითგადარჩენის ტაქტიკა.** სწორედ ამ მიზნით მოიპოვა რუსეთის ხელმძღვანელობამ 2000-იანი წლებიდან კონტროლი ქვეყნის ციფრულ თუ ბეჭდურ მედია ლანდშაფტზე. მოსახლეობის უმრავლესობას შეზღუდული აქვს წვდომა ინფორმაციის დამოუკიდებელ წყაროებთან, ხოლო სადამსჯელო კანონმდებლობა ართულებს ინფორმაციის უცხოური არხებიდან მიღებას. დემოკრატიულ აქტორებს უჭირთ რუსეთში მათ წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაპირისპირება. საინფორმაციო სივრცის კონტროლით, ხელისუფლება მარტივად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას მოსახლეობაში და ამით საკუთარ მმართველობასა და ძალაუფლებას ინარჩუნებს.

რუსეთის ინტერესები მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციისა და დასავლური გავლენის შესუსტებას გულისხმობს. კრემლი მეზობელ ქვეყნებში არასტაბილურობისა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებით ცდილობს დომინირების განმტკიცებას და რეგიონში პოლიტიკური ბერკეტების შენარჩუნებას. პარალელურად, მისი მიზანია საქართველოსა და უკრაინის დასავლურ ინსტიტუტებში გაწევრიანების შეფერხება. რუსეთი ნატო-სა და ევროკავშირთან მიმართებაში იყენებს ინფორმაციით მანიპულაციას და დეზინფორმაციის ტექნიკებს, როგორც პოლიტიკური და სამხედრო გავლენის ინსტრუმენტებს. რუსეთი ცდილობს წარმატებული დასავლური ორგანიზაციების ერთიანობის შესუსტებას, სანდოობის, ლეგიტიმაციისა და რეპუტაციის შერყევას.

შემთხვევის ანალიზი: რუსეთი უკრაინაში

რუსეთმა 2014 წლიდან მნიშვნელოვნად გააქტიურა საინფორმაციო გავლენის ინსტრუმენტები ყირიმის ანექსიის კონტექსტში, ხოლო 2022 წელს უკრაინაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევის შემდეგ, დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბი უპრეცენდენტო გახდა, მეთოდები კი – გაცილებით მოქნილი და მრავალფეროვანი. ომთან დაკავშირებით არაერთი დეზინფორმაცია ვრცელდება,

[12] The Russian War on Truth: Defending Allied and Partner Democracies Against the Kremlin's Disinformation Campaigns, 2023; https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2023-10/014%20CDS%2023%20E%20rev.%202%20fin%20-%20RUSSIA%20DISINFORMATION%20-%20DEMEUSE%20REPORT.pdf. Retrieved on 16.03.2024.

რომელთა ადრესატს წარმოადგენს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორია, კერძოდ, უკრაინა, დასავლეთი, რუსეთის მოსახლეობა და მისი პარტნიორები. 2023 წელს ევროპული ციფრული მედიის ობსერვატორიამ, უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, ყალბი ინფორმაციის გავრცელების 6 კატეგორია და მასთან ასოცირებული ნარატივები გამოკვეთა:[13]

[13] Disinformation Naratives about the War in Ukraine, 2023; https://edmo.eu/wp-content/uploads/2023/05/Periodic-insight-n.20---Disinformation-narratives-about-the-war-in-Ukraine.pdf. Retrieved on 17.03.2024.

ასევე უკრაინასთან მიმართებაში რუსეთი არაერთ მითს ავრცელებს და ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დარწმუნებას ცრუ ნარატივებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:[14]

❌ *მითი:*

„რუსეთის გამარჯვება გარდაუვალია. რუსეთი მოიგებს ომს ან კონფლიქტი მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება. დასავლეთის მიერ უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა სიტუაციას ამძიმებს. მშვიდობისკენ ერთადერთი გზა უკრაინის დემილიტარიზაციაა"

❌ *მითი:*

„უკრაინა ხელოვნური წარმონაქმნია და არა სუვერენული სახელმწიფო. უკრაინის მიწები ისტორიულად რუსეთს ეკუთვნოდა. ამ ტერიტორიების მოსახლეობამ თავისუფლად გამოხატა პოლიტიკური ნება რუსეთში დაბრუნების თაობაზე და მათი გათავისუფლება და დაცვა რუსეთის პატრიოტული ვალია".

❌ *მითი:*

"აშშ-მ დააფინანსა, შეიმუშავა და მართავდა საიდუმლო ბიოლოგიური იარაღის შექმნის პროგრამებს უკრაინის ლაბორატორიებში, ცდიდა ბიოლოგიურ იარაღს ადგილობრივ მოსახლეობაზე და რუსეთზე თავდასხმისთვის უკრაინას ბიოლოგიური იარაღით ამარაგებდა"

❌ *მითი:*

„დასავლეთის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ უკანონოა და გლობალურ დონეზე ზიანის მომტანი. ისინი იწვევს მსოფლიო ეკონომიკის დესტაბილიზაციას და რიგითი მოქალაქეებისთვის ცხოვრების ღირებულებას ზრდას. სანქციები არ მოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზე".

❌ *მითი:*

„ევროკავშირი რუსეთის ენერგორესურსების გარეშე ვერ გადარჩება. აშშ-მ ევროკავშირს გლობალური ენერგოკრიზისის გამომწვევი პოლიტიკის დანერგვისკენ უბიძგა, რადგან კრიზისი აშშ-ს ენერგო კომპანიებისთვის სარგებლის მომტანია".

❌ *მითი:*

„რუსეთის წმინდა ომი უკრაინაში უღმერთო სატანისტებთან ქრისტიანობისა და ტრადიციული ღირებულებების დასაცავად მიმდინარეობს"

❌ *მითი:*

„უკრაინა დონბასში წლების განმავლობაში გენოციდს ახორციელებდა და რუსეთი ჩაერია ხალხის დასაცავად".

ზემოაღნიშნული მითების გარდა, ხშირია რუსეთის მიერ უკრაინის მთავრობის დისკრედიტაციის მცდელობა, რომელიც გულისხმობს კორუფციის ბრალდებებს და პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის საჯარო იმიჯის დაზიანებას. ამასთან, სამიზნე კატეგორიას განეკუთვნებიან უკრაინელი დევნილები,[15] რომლებიც რუსული

[14] Twelve myths about Russia's war in Ukraine, 2023; https://euvsdisinfo.eu/twelve-myths-about-russias-war-in-ukraine-exposed/; Retrieved on 16.03.2024.
[15] Russina Disinformation about Ukrainian refugees in Poland; https://warsawinstitute.org/russian-disinformation-about-ukrainian-refugees-in-poland/. Retrieved on 17.03.2024;

დეზინფორმაციის მიხედვით, მასპინძელი ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ (მაგ. პოლონეთში და მოლდოვაში). აღნიშნული ნარატივის მიზანია ანტიუკრაინული განწყობების გაღვივება. რუსული სოციალური მედიის ანგარიშებმა არაერთი ისტორია გაავრცელა უკრაინელი დევნილების დანაშაულებრივი ქმედებებისა და მათი უსამართლო პრივილეგირების შესახებ. რუსეთი აქტიურად ცდილობს უკრაინის მიმართ საერთაშორისო სოლიდარობის შემცირებას და ამ მიზნით, ხელს უწყობს ე.წ. „ომით გადაღლის“ განწყობების გაძლიერებას.

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის 2024 წლის იანვრის ანგარიშის თანახმად, (საინფორმაციო მანიპულაციისა და საგარეო ჩარევის საფრთხეების შესახებ) უცხოური საინფორმაციო მანიპულაციების ყველაზე ხშირი სამიზნე უკრაინაა (იხილეთ გრაფიკი):[16]



Figure 1: Countries targeted by FIMI incidents observed by the EEAS in 2023.

სიმბოლიზმი დეზინფორმაციულ კამპანიებში

დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ კამპანიებში, სიმბოლოების გამოყენება საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბების, ემოციებით მანიპულაციისა და ქცევებზე გავლენის მოხდენის ძლიერ იარაღს წარმოადგენს. მაგალითად, „Z” სიმბოლო რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკაზე ასახული მარკირებაა, რომელიც 2022 წლიდან დაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომში აქტიურად გამოიყენებოდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინტერპრეტაციით,[17] „Z“ გულისხმობს „Za победу“ (გამარჯვებისთვის). ასევე, რუსულ პროპაგანდისტულ

[16] 2nd EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats, 2024; https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/2024/EEAS-2nd-Report%20on%20FIMI%20Threats-January-2024_0.pdf. Retrieved on 18.03.2024.

[17] Why has the letter Z become the symbol of War for Russia? 2022; https://www.theguardian.com/world/2022/mar/07/why-has-the-letter-z-become-the-symbol-of-war-for-russia; retrieved on 19.03.2024;

არხებზე გავრცელდა ვერსია, რომლის თანახმადაც, სიმბოლო უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ოლექსანდრის ძე ზელენსკის ინიციალებს წარმოადგენს - „V.Z.O“. იმის გათვალისწინებით, რომ სიმბოლო „Z“ განსაკუთრებით ხშირად ჩნდება, რუსეთის მთავრობამ სამხედრო დანიშნულების გარდა, ის ომის პროპაგანდისტულ სიმბოლოდ აქცია. „Z“ რუსულ ნაციონალიზმთან ასოცირდება, რომელიც პრორუსული პოლიტიკისა და უკრაინაში შეჭრის მხარდაჭერის ხაზგასასმელად გამოიყენება. საგულისხმოა, რომ სიმბოლოს გამოსახულებიანი ტანისამოსი რუსეთის უმსხვილესი ტანსაცმლის მაღაზიებშიც გამოჩნდა. ამის გარდა, სიმბოლო სოციალურ ქსელებში რუსეთის სახელმწიფო უწყებების ოფიციალურ ანგარიშებზე ჩნდება და ფართოდ გამოიყენება პროსახელისუფლებო ცნობადი სახეებისა და თანამდებობის მაღალი პირების მიერ.[18]

შემთხვევის ანალიზი: რუსეთი საქართველოში

რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ წლების განმავლობაში აქტიურად აწარმოებს დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ კამპანიებს, რომელთა სტრატეგიული მიზანია რუსეთის გავლენის სფეროების გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შეფერხება და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების შეფერხება:

გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივები კი ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

- **საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მედეგობის დასუსტება;**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება;**
- **ქართულ საზოგადოებაში დასავლეთის დისკრედიტაცია და დასავლური ღირებულებების ნეგატიურ კონტექსტში (ქართულთან შეუთავსებელად) წარმოჩენა;**
- **პრორუსული სენტიმენტების გაღვივება საზოგადოების ყველა სეგმენტში;**
- **ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციის შელახვა და საქართველოს „პრობლემად“ წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე.**

ზემოაღნიშნული ამოცანების მხარდასაჭერად, საქართველოში არაერთი მითი გავრცელდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:[19] [20]

❌ *მითი:*

„რუსეთი მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს, ხოლო დასავლეთი ხელს უწყობს გარყვნილებას და ეროვნული იდენტობის განადგურებას“.

❌ *მითი:*

[18] იქვე.
[19] On the Frontline: Countering Disinformation in Georgia. 2023. https://www.chavchavadzecenter.ge/public/uploads/other/2024-03-02/4529.pdf. Retrieved on 19.03.2024;
[20] სახელმძღვანელო: ანტიდასავლური დეზინფორმაცია საქართველოში და მისი გამოვლენის გზები. https://grass.org.ge/uploads/other/2020-11-16/799.pdf. Retrieved on 19.03.2024.

„რუსეთი ზესახელმწიფოა“.

❌ *მითი:*

„ნატო რუსეთს ემუქრება. ნატო რუსეთს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის, ზღუდავს მის „სასიცოცხლო სივრცეს“.

❌ *მითი:*

„დასავლეთი რუსეთს დაჰპირდა, რომ ნატო აღმოსავლეთ ფლანგზე არ გაფართოვდებოდა“.

❌ *მითი:*

“საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში ევროკავშირი არ ერთვება“.

❌ *მითი:*

„ოკუპირებული ტერიტორიებით ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველო ვერ გაწევრიანდება“.

❌ *მითი:*

„აშშ ისეთივე აგრესორია, როგორც რუსეთი. „შეიძლება მე ცუდი ვარ, მაგრამ აშშ კიდევ უფრო უარესია“.

❌ *მითი:*

„დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა და „მეორე ფრონტის“ გახსნა სურს, უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად“.

რუსეთი დეზინფორმაციული გზავნილების გასავრცელებლად, (სტრატეგიული ნარატივის მხარდაჭერის მიზნით) სხვადასხვა წყაროს იყენებს, მაგალითად, რუსეთის მთავრობის ოფიციალური პირები, კრემლის პროპაგანდისტები, მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედია და საქართველოში შიგნით მოქმედი აქტორები (პრორუსული ონლაინ და ბეჭდური საინფორმაციო სააგენტოები, პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, სამოქალაქო ორგანიზაციები, ოკუპირებული ტერიტორიების დე-ფაქტო ლიდერები და ა.შ);[21] ასევე აღსანიშნავია პრორუსული ნარატივის მხარდამჭერი აკადემიური წრის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც ოპერირებენ როგორც ლოკალურ და რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

რუსეთის დეზინფორმაციული კამპანია საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა **2008 წლის „აგვისტოს ომის“** დროს. რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში საინფორმაციო სივრცის კონტროლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. 2008 წელს, საქართველოზე სამხედრო თავდასხმის კონტექსტში, კრემლმა დეზინფორმაციული ტაქტიკის ინსტრუმენტების გამოყენების პრეცედენტი შექმნა, რომელსაც შანტაჟი, შიდა პოლიტიკურ პროცესებში უხეში ჩარევა და სუვერენეტეტის შელახვა ახლდა.

[21] Russia's Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response, 2019; https://www.pmcresearch.org/policypapers_file/f6ac5dfb34c12e31c.pdf?fbclid=IwAR38DA4o5Lw97UB9XruAt-8rqvHp5WlZ6KmWk1i5gYgQeoWdndtkE2UYdkE. Retrieved on 21.03.2024;

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, 2008 წელს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 10% იყენებდა ინტერნეტს, რომელთა დიდი ნაწილი ქალაქებში ცხოვრობდა.[22] შესაბამისად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში იყვნენ გადანაწილებულნი, საინფორმაციო წყარო იყო ტელევიზია და ბეჭდური მედია. სწორედ ეს სეგმენტი წარმოადგენდა რუსული დეზინფორმაციის მთავარ სამიზნეს.
რუსეთმა, სამხედრო მოქმედებების პარალელურად, იერიში მიიტანა ქვეყნის მთავარ საკომუნიკაციო სისტემებზე.[23] შედეგად, უფრო მეტად გართულდა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და მოსახლეობაში შიშმა და დაბნეულობამ დაისადგურა. კიბერ თავდასხმების შედეგად, საქართველოს მთავრობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეეზღუდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს მიღმა გლობალურ მედია-საშუალებებზე წვდომა. ომის პერიოდში (და შემდგომაც) რუსეთი აქტიურად ავრცელებდა მცდარ ნარატივებს და ადანაშაულებდა ქართულ მხარეს. რუსეთი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, სამხედრო ოპერაციის ჩატარებას ამართლებდა „ჰუმანიტარული კატასტროფის“ თავიდან აცილების მცდელობით და საკუთარი „მოსახლეობის დაცვის“ ვალდებულებით.[24] ასევე, მცდარი ნარატივები ვრცელდებოდა აშშ-სთან, როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან მიმართებაშიც. აღსანიშნავია, რომ ომის დროს საერთაშორისო საზოგადოების მოსაზრება, განსაკუთრებით კი პატარა სახელმწიფოებისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან საერთაშორისო მხარდაჭერა შედარებით დიდი რესურსების მქონე აგრესორის მოგერიებაში ერთ-ერთ კრიტიკულ როლს ასრულებს. შესაბამისად, 2008 წელს, რუსეთი საქართველოზე სამხედრო იერიშის მხარდამჭერი ნარატივების გავრცელებით, საერთაშორისო საზოგადოების აზრის მის სასარგებლოდ ფორმირებას ცდილობდა და მათ შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია, ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით რუსეთის მიერ წლების განმავლობაში მიმდინარე დეზინფორმაციული კამპანია. ამერიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი დაარსების დღიდან არაერთხელ გამხდარა რუსეთის ცრუ და შეცდომაში შემყვანი ნარატივების სამიზნე. კრემლის მხრიდან ხშირად ისმოდა ცრუ ბრალდებები აშშ საქართველოს შორის არსებული ფარული გარიგებების საფუძველზე, თბილისში გახსნილ ცენტრში „ბიოლოგიური იარაღის დამზადებასა“ და „საშიში ვირუსების გავრცელების“ გეგმებთან დაკავშირებით.[25] კრემლი შეთქმულების თეორიებს ავრცელებდა და ხშირად აპელირებდა იმაზე, რომ ცენტრი აკრძალულ კვლევებს ახორციელებდა და მისი საქმიანობა გამჭვირვალე არ იყო. თუმცა, რუსეთს ხსენებული განცხადებების დამადასტურებელი შეთხზული მტკიცებულებებიც კი არასოდეს წარმოუდგენია. COVID-19-ის კონტექსტში

[22] How Russian disinformation tactics were utilised in the context of the 2008 5-day war, 2022; https://idfi.ge/en/how_russian_disinformation_tactics_were_utilised_in_the_context_of_the_2008_5_day_war; retrieved on 20.03.2024

[23] Cyclones in Cyberspace: Information shaping and denial in the 2008 Russia-Georgia War, 2012; https://www.jstor.org/stable/26301960; Retrieved on 17.03.2024;

[24] How Russian disinformation tactics were utilised in the context of the 2008 5-day war, 2022; https://idfi.ge/en/how_russian_disinformation_tactics_were_utilised_in_the_context_of_the_2008_5_day_war; retrieved on 20.03.2024;

[25]Russia claims US running secret bio weapons lab in Georgia, 2018; https://apnews.com/article/0cf158200e674f41bd3026133e5e043d; retrieved on 20.03.2024.

ლაბორატორიაზე თავდასხმა განსაკუთრებით გააქტიურდა, ვინაიდან საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ ცენტრის საქმიანობა ერთ-ერთ პოზიტიურ და გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნეოდა. ამ მხრივ, რუსეთის დეზინფორმაციის მიზანი წარმატებული ინსტიტუციის როლის დაკნინება იყო. კრემლის ნარატივებს შორის ისეთი სახის ცრუ გზავნილები დომინირებდა, როგორიცაა აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეების მიერ ლუგარის ლაბორატორიაში „ვირუსის შექმნა და ხელოვნურად გავრცელება“, რუსეთის „უძლეველობის“ მითი კორონავირუსთან ბრძოლაში, ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შექმნა და ა.შ. [26]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ უკრაინასა და საქართველოში წლების განმავლობაში გავრცელებულ დეზინფორმაციულ კამპანიებს შორის უფრო მეტი მსგავსება ვლინდება, ვიდრე განსხვავება:



[26] კრემლის 10 დეზინფორმაცია Covid-19-ის შესახებ საქართველოში; https://isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/kremlis-10-dezinformatsia-COVID-19-is-shesakheb-sagartveloshi. Retrieved on 17.03.2024.

დასკვნა

რუსეთის მიერ მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული დეზინფორმაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა. დეზინფორმაციული კამპანიების ინსტრუმენტები მუდმივად ცვალებადი და განახლებადია, ხოლო მათ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებების დასუსტება და კრემლის ძალაუფლების გაზრდა, რეჟიმის შენარჩუნება, შიდა აუდიტორიაზე სასურველი გავლენის მოხდენა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საარჩევნო სისტემების მიმართ საზოგადოების ნდობის შესუსტება/შელახვა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით რუსეთი განსაკუთრებით მისი უშუალო მეზობლების – უკრაინისა და საქართველოს მიმართ აქტიურობს. უკვე მრავალი წელია, რაც სხვადასხვა აქტორის მეშვეობით, რუსეთი არაერთ ყალბ ნარატივსა და გზავნილს ავრცელებს, რაც საბოლოო ჯამში, უკრაინისა და საქართველოს მიერ ევროპული და ევროატლანტიკური კურსის შეცვლას და რუსეთის გავლენის სფეროების გაზრდას ისახავს მიზნად.

დამატებითი ლიტერატურა:

- Georgia's Information Environment through the Lens of Russia's Influence: https://stratcomcoe.org/pdfjs/?file=/publications/download/A4_new.pdf?zoom=page-fit
- Virtual Manipulation Brief, Issue 1/2022: Russia's Struggle to Circumvent Sanctions and Communicate Its War Against Ukraine: https://stratcomcoe.org/publications/virtual-manipulation-brief-issue-12022-russias-struggle-to-circumvent-sanctions-and-communicate-its-war-against-ukraine/250
- Russian information and propaganda war: some methods and forms to counteract: https://stratcomcoe.org/publications/russian-information-and-propaganda-war-some-methods-and-forms-to-counteract/180
- Undermining Ukraine: How Russia widened its global information war in 2023: https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/undermining-ukraine-how-russia-widened-its-global-information-war-in-2023/
- How Ukraine fights Russian disinformation: Beehive vs mammoth: https://www.hybridcoe.fi/wp-content/uploads/2024/01/20240124-Hybrid-CoE-Research-Report-11-How-UKR-fights-RUS-disinfo-WEB.pdf
- Disinformation and Russia's war of aggression against Ukraine: https://www.oecd.org/ukraine-hub/policy-responses/disinformation-and-russia-s-war-of-aggression-against-ukraine-37186bde/
- Russian Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Existing Practice and Civil Society Response: https://www.pmcresearch.org/policypapers_file/f6ac5dfb34c12e31c.pdf
- Tracking and Refuting Disinformation in Georgia: https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/disinfo_a5_eng_final_.pdf
- Mapping Research: Comparing Foreign Influence In Georgia: https://www.europeanvalues.cz/wp-content/uploads/2021/01/MAPPING_RESEARCH_COMPARING_FOREIGN_INFLUENCE_IN_GEORGIA.pdf
- Thirteen myths about Russia's war against Ukraine exposed; EuvsDisinfo, 2024; https://euvsdisinfo.eu/thirteen-myths-about-russias-war-against-ukraine-exposed/?fbclid=IwAR3y0tSNgGoJMdMkYnfvVDgwOeKgdHhGbdlGpyPby_TxB-ElYcoHgwK5ZRA